საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 49 2026 წლის 6 თებერვალი ქ. თბილისი

„ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 8 აპრილის №132 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 8 აპრილის №132 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/04/2024, 340040000.10.003.024525) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“:

1. მე-4 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1-3^2 პუნქტები:

„3^1. სააგენტოს მიერ, პროგრამის ფარგლებში, ფინანსდება ერთი პოტენციური ბენეფიციარის არაუმეტეს 2 (ორი) ღონისძიება, ერთი კალენდარული წლის განმავლობაში.

3^2. პოტენციურ ბენეფიციარს/ბენეფიციარს არ დაუფინანსებდა ღონისძიება, თუ ღონისძიების შინაარსი და/ან დასახელება არ შეესაბამება წინამდებარე პროგრამის და/ან პროგრამის განმახორციელებელი უწყების მიზნებს.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ბენეფიციარს, ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების ღირებულების ფაქტობრივად დადასტურებული ხარჯები აუნაზღაურდება შემდეგნაირად:

ა) არაუმეტეს 20%-ის ოდენობით, 50 000 ლარის ფარგლებში, თუ განაცხადის წარდგენამდე არ აქვს ჩატარებული ან ჩატარებული აქვს არაუმეტეს ერთი, იმავე შინაარსის ან/და დასახელების ღონისძიება;

ბ) არაუმეტეს 40%-ის ოდენობით, 100 000 ლარის ფარგლებში, თუ განაცხადის წარდგენამდე ჩატარებული აქვს ორი ან სამი, იმავე შინაარსისა და დასახელების ღონისძიება;

გ) არაუმეტეს 70%-ის ოდენობით, 150 000 ლარის ფარგლებში, თუ განაცხადის წარდგენამდე ჩატარებული აქვს სამზე მეტი, იმავე შინაარსისა და დასახელების ღონისძიება.“.

2. მე-6 მუხლს მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. დოკუმენტური შემოწმების ფარგლებში, ბენეფიციარის მიერ ანაზღაურების ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში,

სააგენტო უფლებამოსილია, შემდგომში გამოცხადებული პროგრამის ფარგლებში, არ განიხილოს აღნიშნული ბენეფიციარის განაცხადი.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**